ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დისტანციური საბჭოს
სხდომის ოქმი №3

ქ. თბილისი

27.03.2020

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:**

1. **დავით მალაზონია** - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **გიორგი გიგიბერია** - ა(ა)იპ - ფონდ საერთაშორისო განათლების ცენტრის პროგრამების მენეჯერი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ნატალია შანიძე** - შპს „ათასწლეულის სკოლის“ მათემატიკის კათედრის ხელმძღვანელი, მათემატიკის მასწავლებელი - საბჭოს მდივანი;
4. **ქეთევან ნატროშვილი** - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე;
5. **მაკა მამფორია** - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ მასწავლებელი;
6. **ირმა ბარბაქაძე** - შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის“ ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;
7. **ავთანდილ აბდუშელიშვილი** - შპს „დამოუკიდებელი საერო გიმნაზია შავნაბადას“ დირექტორი;
8. **კახაბერ ფარცვანია** - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ზუგდიდის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი;
9. **არჩილ სუმბაძე** - შპს „ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლის - თბილისის“ აკადემიური დირექტორი, სამოქალაქო განათლების მასწავლებელი;

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნინო ჟვანია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

თამარ რატიანიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორის მოვალეობის შემსრულებელი;

ნათია მჭედლიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს მწვანე სკოლა

სკოლის დირექტორი - კახა დავითური

შპს სადუნი

სკოლის გენერალური დირექტორი - გიორგი ცინცაძე

სკოლის დირექტორი - შორენა მერაბიშვილი

იურისტი - თათია ზარქუა

შპს თამარიონ +

სკოლის დირექტორი - გიორგი გიორგაძე

ხარისხის მართვის მენეჯერი - თამარ უთნელიშვილი

შპს პოლიგლოტი

სკოლის დირექტორი - მზია დაუშვილი

შპს ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესი

სკოლის გენერალური დირექტორი - ნინო ჩიკვაშვილი

სკოლის აღმასრულებელი დირექტორი - ნათია კილაძე

ხარისხის მართვის მენეჯერი - ნატალია ბარათელი

ა(ა)იპ საქართველოს საპარტიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლა

სკოლის დირექტორი - ლალი მელივა

4.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში- ექსპერტები):

შპს მწვანე სკოლა

ნანა მონიავა

თამარ მიდელაშვილი

შპს სადუნი

ნოდარ ანგურიძე

მაკა კაჭკაჭიშვილი

თამარიონ +

რუსუდან თედორაძე

ლელა ჯაში

შპს პოლიგლოტი

ცირა ნიკოლაშვილი

იზაბელა იოსელიანი

შპს ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესი

მაკა ტუკვაძე

ნატო გაბოშვილი

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართმადიდებლური სკოლა

ქეთევან ბოტკოველი

ირინა დვალი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე დავით მალაზონია.

სხდომა გაიხსნა 16:00 საათზე, სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს მწვანე სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს სადუნში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. შპს თამარიონ + ში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. შპს პოლიგლოტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. შპს ქართულ-ამერიკულ სკოლა პროგრესში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
6. ა(ა)იპ საქართველოს საპარტიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლურ სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;

ამის შემდეგ მან მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ იქნა წარდგენილი ამიტომ დამტკიცდა წარმოდგენილი დღის წესრიგი.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

1. **შპს მწვანე სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ნანა მონიავამ და თამარ მიდელაშილმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დაიწყო საუბარი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებზე. მან აღნიშნა, რომ მწვანე სკოლის მოსწავლეები სასკოლო საზოგადოების (მშობლების, მასწავლებლების, სკოლის დირექციის, სხვა კლასის მოსწავლეების) წინაშე საუბრობედნენ სემესტრის განმავლობაში რა გააკეთეს და რა წარმატებებს მიაღწიეს, ექსპერტის განმარტებით სკოლაში კონკურსის საფუძველზე ხდებოდა საჯარო სკოლის მოსწავლეთა ჩარიცხვა სკოლაში გადასახადის გარეშე, ასევე სკოლა თანამშრომლებისთვის (შვილის შეძენის შემთხვევაში) აწესებდა ფულად ჯილდოს. ექსპერტმა ასევე ისაუბრა დაწესებულებაში უსაფრთხო და ჯანსაღ გარემოზე. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ 106 სათვალთვალო კამერიდან 46 კამერა მოხსნა, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც იყო განთავსებული საკლასო ოთახებში.

ექსპერტთა განმარტებით დაწესებულებას რეკომენდაცია მიეცა, რომ ყურადღება გაემახვილებინა სკოლას საგნობრივი სტანდარტების ინდიკატორების ამოქმედების მექანიზმებზე შემაჯამებელი დავალებების განსაზღვრის დროს, ასევე სასკოლო სასწავლო გეგმაში წლიური გამოცდების ინფორმირების შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ დამატებით კითხვები. საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონიათ.

საბჭოს თავმჯდომარემ და საბჭოს წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად არ ჩათვალეს მოცემული ხარვეზები ყოფილიყო შპს მწვანე სკოლისთვის ავტორიზაციის გაუქმების საფუძველი. საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 9

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს მწვანე სკოლის (ს/კ: 401959528) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

2. შპს სადუნში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ნოდარ ანგურიძემ და მაკა კაჭკაჭიშვილმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საუბარი დაიწყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებზე. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკას წარმოადგენდა დღის მეორე ნახევარში, გაკვეთილების შემდეგ, მოსწავლეებისთვის საშინაო დავალების მომზადებაში დახმარების გაწევას. გარდა ამისა, დღის მეორე ნახევარში ხდებოდა დღის მანძილზე გამოვლენილი სასწავლო პრობლემების, ასევე გაცდენების გამო სწავლაში ჩამორჩენის აღმოფხვრა. ექსპერტის თქმით, ამ მიზნით სკოლაში მორიგეობედნენ სხვადასხვა საგნის მასწავლებლები და მათთან მოსწავლეთა ვიზიტებს ორგანიზებას უწევდა კლასის მეთვალყურე, რომელიც დღის მანძილზე აკვირდებოდა თავისი კლასის მოსწავლეების ქცევასა და სასწავლო აქტივობებს. ექსპერტის განმარტებით, სკოლის საუკეთესო პრაქტიკას ასევე წარმოადგენდა სამი უცხოური ენის სწავლება, რომელთაგან ორი ენის(ინგლისური და რუსული) სწავლება სავალდებულო იყო, ხოლო მესამე ენას მოსწავლე სამი შეთავაზებიდან (გერმანული, ფრანგული, ესპანური) ირჩევდა მისთვის სასურველს.

ექსპერტის განმარტებით დაწესებულება სკოლის გარდა ფლობდა ბაგა-ბაღსაც, რომელიც ფუნქციონირებდა იმავე შენობათა კომპლექსის შემადგენელ ერთ-ერთი შენობის (N2 შენობის) პირველი და მეორე სართულის ნაწილში. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ბაგა-ბაღი სარგებლობდა იმავე შესასვლელით, რომლითაც სკოლა.

დაწესებულების იურისტის განმარტებით სკოლის ტერიტორიაზე არსებობდა დაცვა, ტურნიკეტის საშუალებით ხდებოდა მოსწავლეთა სკოლაში შესვლა-გამოსვლა, მან ასევე აღნიშნა რომ სკოლას და ბაგა-ბაღს არ ჰქონდათ საერთო არც საპირფარეშო და არც სასადილო ოთახი.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტ მ. კაჭკაჭიშვილს ვიზიტის მიზეზთან დაკავშირებით. ექსპერტმა განმარტა, რომ ვიზიტის მიზეზს წარმოადგენდა გეგმიური მონიტორინგი და ასევე საჩივარი, არათანამშრომლობით კულტურასთან დაკავშირებით, რომელიც არ გამოიკვეთა ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ დამატებით კითხვები. საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონიათ.

საბჭოს თავმჯდომარემ და საბჭოს წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად არ ჩათვალეს მოცემული ხარვეზები ყოფილიყო შპს სადუნისთვის ავტორიზაციის გაუქმების საფუძველი. საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 9

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს სადუნს (ს/კ: 202063480) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

3. შპს თამარიონ + ში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, რუსუდან თედორაძემ და ლელა ჯაშმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

საბჭოს თავმჯდომარემ დასაწყისშივე აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა 60 დღიანი ვადა განსაზღვრული ხარვეზების გამოსასწორებლად.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ისაუბრა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებამ გაცემული რეკომენდაციები გამოასწორა, თუმცა, ექსპერტის განმარტებით, შემდგომში ურთიერთდასწრების ფორმების შევსებისას პედაგოგებს ყურადღება უნდა გაემახვილებინათ, რომ გაკვეთილის ანალიზი გაკეთებული ყოფილიყო ურთიერთ შეფასების დოკუმენტში გაწერილი პუნქტების შესაბამისად და ასევე ამ ანალიზის შედეგები ასახულიყო კათედრის სხდომის ოქმებშიც, როგორც ჰქონდა სკოლას გაწერილი დოკუმენტში -„სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი". ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას მიეცა რეკომენდაცია, მასწავლებლის მიღება განეხორციელებინა ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო ხელშეკრულებების გაფორმებისას მიეთითებინა სტატუსი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ დამატებით კითხვები. საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონიათ.

საბჭოს თავმჯდომარემ და საბჭოს წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად არ ჩათვალეს მოცემული ხარვეზები ყოფილიყო შპს თამარიონ + - თვის ავტორიზაციის გაუქმების საფუძველი. საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 9

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს თამარიონ + (ს/კ: 418471193) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

4. შპს პოლიგლოტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ცირა ნიკოლაშვილმა და იზაბელა იოსელიანმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

ექსპერტის განმარტებით წინა ვიზიტის დროს შენობა N2 არ იყო ექსპლუატაციაში მიღებული და მასში სასწავლო პროცესი სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ნებართვის გარეშე მიმდინარეობდა. აღნიშნული გარემოების გამო ავტორიზაციის საბჭოს მიერ დაწესებულებას განესაზღვრა 60 დღიანი ვადა ლიცენზირებული ექსპერტის დასკვნის წარმოდგენად, რომელიც დაადასტურებდა, რომ შენობა N2-ში მოსწავლეთა განთავსება უსაფრთხო იქნებოდა. ექსპერტ ც. ნიკოლაშვილის განმარტებით დაწესებულებამ წარმოადგინა შენობა N2-ის ექსპლუატაციაში მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი. (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია, ბრძანება ბ-10/01200201702-17 შენობის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ.

ექსპერტმა ც. ნიკოლაშვილმა აღნიშნა, რომ წინა ვიზიტის დროს არსებული ხარვეზები იყო აღმოფხვრილი, ხოლო რეკომენდაციები გათვალისწინებული, გარდა, სკოლის N1 და N2 შენობებში არ იყო ადაპტირებული სველი წერტილები ეტლით მოსარგებლე პირებისათვის. ექსპერტის განმარტებით დაწესებულებამ სველი წერტილების ადაპტირების მიზნით, ორივე შენობაში, თითოეულ სართულზე განთავსებული საპირფარეშოს თითო კაბინაში დაამონტაჟა

სახელურები. მან ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულება გეგმავდა ეტლით მოსარგებლე პირისათვის საჭირო ფართის მქონე კაბინების მოწყობას.

დაწესებულების დირექტორმა ქ-ნ მ. დაუშვილმა საბჭოს წევრებსა და ექსპერტებს წარუდგინა ფოტომასალა, რომელითაც დაადასტურა ზემოაღნიშნული.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ დამატებით კითხვები. საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონიათ.

საბჭოს თავმჯდომარემ და საბჭოს წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად არ ჩათვალეს მოცემული ხარვეზები ყოფილიყო შპს პოლიგლოტისთვის ავტორიზაციის გაუქმების საფუძველი. საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 9

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს პოლიგლოტის (ს/კ: 200160798) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

5. **შპს ქართულ-ამერიკულ სკოლა პროგრესში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, მაკა ტუკვაძემ და ნატო გაბოშვილმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განმარტებით წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც ეხებოდა სამივე სტანდატს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა რეკომენდაციები, სკოლამ შეიმუშავა დოკუმენტი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარებასთან, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენასა და განხორციელებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების თაობაზე, სადაც გაწერილი იყო იმ ღონისძიებების ჩამონათვალი, რომლებიც უზრუნველყოფდა უცხოეთიდან გადმოსული მოსწავლეების სასწავლო პროცესში სრულფასოვან ჩართვას.

ექსპერტ მ. ტუკვაძის განმარტებით, პედსაბჭოს სხდომის N3 ოქმის საფუძველზე, 2019-2020 სასკოლო სასწავლო გეგმაში განხორციელდა ცვლილება გამოცდებთან დაკავშირებით და განისაზღვრა მოსწავლის მიერ შემაჯამებელი დავალების აღდგენის გრაფიკი, კერძოდ, ყველა კლასში და ყველა საგანში გაუქმდა ეგრედწოდებული ჩათვლები და რეიტინგული წერები შეიცვალა დიაგნოსტიკური წერებით.

ექსპერტმა მ. ტუკვაძემ განმარტება, რომ დაწესებულებამ შეიძინა საჭირო რაოდენობის სპორტული ინვენტარი.

ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით, ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, მასწავლებლებთან და პერსონალთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში გათვალისწინებული ყოფილიყო საქართველოს ორგანული კანონის შრომის კოდექსის მოთხოვნები, რომელიც გაითვალისწინა დაწესებულებამ.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ დამატებით კითხვები. საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონიათ.

საბჭოს თავმჯდომარემ და საბჭოს წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად არ ჩათვალეს მოცემული ხარვეზები ყოფილიყო შპს ქართულ-ამერიკულ სკოლა პროგრესისთვის ავტორიზაციის გაუქმების საფუძველი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 9

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ქართულ-ამერიკულ სკოლა პროგრესის (ს/კ: 212807550) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

6. ა(ა) იპ საქართველოს საქატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლურ სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ქეთევან ბოტკოველმა და ირინა დვალმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად. ექსპერტ ქეთევან ბოტკოველის განცხადებით, ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლურმა სკოლამ შეიცვალა მისამართი და განთავსდა შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი სოფელი დიღომი, დავით აღმაშენებლის ქუჩა, N52. სკოლის შენობა სამ სართულიანი იყო და ჰქონდა 245.29 კვ. მ. ფართის სარდაფი. ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებას შენობა გადაეცა სრულიად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ, რომლის საფუძველიც გახდა მათ შორის 2019 წლის 23 აგვისტოს დადებული 20 წლიანი თხოვების ხელშეკრულება და რომელიც ამავე წლის 26 აგვისტოს გატარდა საჯარო რეესტრში.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას სპორტული აქტივობებისთვის შენობის პირველ სართულზე გამოყოფილი ჰქონდა 51.58 კვ. მ.-ის ფართი, რომელშიც განთავსებული იყო ტატამები ჭიდაობისთვის, ამავე დარბაზში ტარდებოდა ქართული ცეკვების გაკვეთილები. დარბაზის გვერდით, შეჭრილ სივრცეში იდგა ჩოგბურთის მაგიდა.

ექსპერტ ქ. ბოტკოველის განცხადებით, სკოლას სპორტის გაკვეთილებისთვის არჩეული ჰქონდა სამი სახეობა, ესენი იყო : ჭიდაობა, მაგიდის ჩოგბურთი და ჭადრაკი. ექსპერტმა აღნიშნა რომ, რამდენადაც ჭადრაკი აღარ შედიოდა სპორტის სახეობებში საბაზო და საშუალო საფეხურზე, სკოლას მიეცა რეკომენდაცია, დაემატებინა ახალი სპორტის სახეობა და სასკოლო სასწავლო გეგმაში შეეტანა ცვლილებები. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა დიდი ეზო და ბაღი, სადაც შესაძლებელი იყო სპორტული მოედნის აშენება.

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, წიგნის დამუშავების დროს გაეთვალისწინებინათ საბიბლიოთეკო წესი, რომელიც ვიზიტის პერიოდში გამოსწორებულ იქნა. ასევე, რეკომენდაცია გაიცა ვებ-გვერდის მუდმივ განახლებასთან დაკავშირებით.

ექსპერტ ქ. ბოტკოველის განმარტებით დაწესებულების გარე პერიმეტრს, ეზოს და შენობის ირგვლივ ტერიტორიას აკონტროლებდა 9 უსაფრთხოების კამერა. მათ შორის 2 – 5 მეგაპიქსელიანი, 4 – 4 მეგაპიქსელიანი და 3 - 2 მეგაპიქსელიანი ვიდეოკამერა. შენობის შიდა პერიმეტრის გასაკონტროლებლად პირველ სართულზე დამონტაჟებული იყო 3, მეორე და მეოთხე სართულებზე 4-4 ვიდეოკამერა. სკოლას მიეცა რეკომენდაცია 2 მეგაპიქსელიანი 3 გარე კამერა შეცვლილიყო 3 მეგაპიქსელიანი კამერით.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ დამატებით კითხვები. საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონიათ.

საბჭოს თავმჯდომარემ და საბჭოს წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად არ ჩათვალეს მოცემული ხარვეზები ყოფილიყო ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლისთვის ავტორიზაციის გაუქმების საფუძველი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 9

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლისშეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება (ს/კ: 204571588) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შედეგად დისტანციური საბჭოს სხდომა 18:30 საათზე დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე

დავით მალაზონია

მდივანი

ნატალია შანიძე